ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის შესყიდვების განყოფილების 2017 წლის ანგარიში

წარმოგიდგენთ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის შესყიდვების განყოფილების ანგარიშს:

მოგეხსენებათ, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია შესყიდვებს ახორციელებს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2017 წლის 14 ივლისის N12 ბრძანებისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის თანახმად.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამომდინარე დგება შესყიდვების გეგმა. შესყიდვების გეგმა შეიცავს როგორც ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით გათვალისწინებულ შესყიდვებს, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით დაფინანსებულ სახელმწიფო შესყიდვებს. 2017 წლის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის შესყიდვების გეგმა, თანახმად „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონისა 2016 წლის 20 ნოემბრამდე წარდგენილი იქნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში WWW. SPA. GE-ზე.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის გეგმამ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ ნაწილში შეადგინა 4 025 950 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულ ნაწილში კი 3 700 692 ლარი.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში 2017 წლის მანძილზე შესყიდვები განხორციელდა როგორც გამარტივებული წესით, ასევე ელექტრონული ტენდერის საშუალებით. სულ 2017 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში გაფორმდა 176 ხელშკრულება. აქედან გამარტივებული, ანუ ერთ პირთან მოლაპარაკების წესით დაიდო 86 ხელშეკრულება, რომლის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 1 030 023 ლარი, ხოლო ელექტრონული ტენდერის საშუალებით გაფორმდა 80 ხელშეკრულება ჯამური ღირებულებით 5 602 087 ლარი; ეს მონაცემები მეტყველებს მასზედ, რომ ტენდერის საშუალებით განხორციელებული

შესყიდვები 5-ჯერ აღემატება ერთ პირთან მოლაპარაკების წესით განხორციელებულ შესყიდვებს, რაც მისასალმებელია.

2017 წლის განმავლობაში გამოცხადებული იყო სულ 91 ელექტრონილი ტენდერი, აქედან როგორც უკვე მოგახსენეთ 80 ტენდერი შედგა და გაფორმდა ხელშეკრულება, ხოლო 11 ტენდერიდან 3 დასრულდა უარყოფითი შედეგით, 7 ტენდერი არ შედგა, ერთი კი შეწყვეტილი იქნა სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით. ტენდერების ჯამური სავარაუდო თანხა შეადგენდა 6 039 608 ლარს, ხოლო როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ხელშეკრულება გაფორმდა ჯამში 5 602 087 ლარზე, აქედან გამომდინარე ტენდერების განხორციელებიდან მიღებულმა მოგებამ ჯამში შეადგინა 437 521 ლარი, რაც მიუთუთებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის შესყიდვების სამსახურის ეფექტურ და ნაყოფიერ მუშაობაზე.

კონსოლიდირებული შესყიდვის საშუალებით ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს გაფორმებული აქვს 9 ხელშეკრულება 67 325 ლარზე, რომლის ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 64 582ლარი. ექსკლუზივით გაფორმდა ერთი ხელშეკრულება, რომელიც დაიდო სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს SMP170000205 ნებართვის საფუძველზე უსადენო სატელეფონო მომსახურებაზე-1500 ლარზე, რომელიც შესრულდა-1328 ლარით.

მუნიციპალიტემა 2017 წლის გეგმით გათვალისწინებული 284200 ლარის საწვავ/საპოხი პროდუქციის ნაცვლად მოიხმარა 210698 ლარის საწვავ/საპოხი მასალა.

სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების კოდში შესრულებამ შეადგინა გეგმით გათვალისწინებული 67500 ლარის ნაცვლად 49024 ლარი.

მიუსაფართა კვებითი მომსახურება განხორციელდა 79664.4 ლარზე გეგმით გათვალისწინებული 80000 ლარიდან.

სამშენებლო სამუშაოების ნაწილში შესრულებამ შეადგინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული 3130106 ლარიდან 2997669 ლარი.

შენობის დასრულების სამუშაოები ნაცვლად 1084886 ლარისა შესრულდა 773259 ლარით. შეუსრულებელი დარჩა ამ ნაწილში შ.პ.ს. „მეტალ +"-თან გაფორმებული ორი ხელშეკრულება: ქ. ლაგოდეხის N2 ბაღის რეაბილიტაცია და სოფ. მშვიდობიანის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოები. მოცემული ხელშეკრულებები დასრულდა უარყოფითი შედეგით, შ.პ.ს. „მეტალ+"-ი დაჯარიმდა და მიღებული იქნა ზომები მისი „შავ სიაში" დარეგისტრირების შესახებ. ასევე დავალიანებით გადავიდა მომდევნო წელში შ.პ.ს. ინტერ პლიუსთან დადებული ხელშეკრულება სოფ. თამარიანის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციაზე.

სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოების ნაწილში შესრულებამ შეადგინა 202585 ლარი.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურება განხორციელდა 100%-ით და შეადგინა 38862 ლარი.

მთლიანობაში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის შესყიდვების გეგმა შესრულებულია 89%-ით. ხოლო ტენდერების განხორციელებიდან მიღებული ეკონომიამ შეადგენა 437 521ლარი.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის
შესყიდვების განყოფილების უფროსის მ/შ: ელისო ბოჟაძე